კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

# საინფორმაციო ბიულეტენი #7

2015 წლის ივლისი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

---

## საანგარიშო პერიოდში - 1 ივლისი - 31 ივლისი - მიღწეული შედეგები:

### ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სოციალურ სამსახურებთან და მიღებულ ინფორმაციებს ავრცელებენ სამობილიზაციო შეხვედრებზე.

-საანგარიშო პერიოდში მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 შეხვედრა სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან: ქუთაისის, სენაკის, ხონის მობილიზატორები შეხვდნენ საკრებულოს წევრებს, ისაუბრეს იმ პრობლემებზე და სერვისებზე, რომლებიც ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად არსებობს ადგილობრივ დონეზე. ზუგდიდში საკრებულოს იურისტთან მოეწყო შეხვედრა შემდეგ საკითხებზე: ძალადობის კუთხით რამდენად ხშირია მომართვიანობა, ძირითადად რა პრობლემები არსებობს. ფოთის ცენტრის მობილიზატორს მერიის სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილესთან ჰქონდა შეხვედრა, წყალტუბოს ცენტრის მობილიზატორი კი სოციალურ აგენტს ესაუბრა იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელთაც ხშირად სვამენ ბენეფიციარები სამობილიზაციო შეხვედრებზე.

- მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს. განხილული თემებიდან მათთვის საინტერესო აღმოჩნდა ინფრასტრუქტურული პროგრამები ადგილობრივ ბიუჯეტში, მიღებული ინფორმაციები კი გაავრცელეს სამობილიზაციო შეხვედრებზე.

- საკრებულოს სხდომებზე დასწრებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მობილიზატორთა ინფორმირებულობის ხარისხი.
- ბენეფიციარებმა მიიღეს ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებული პროგრამების შესახებ და ისარგებლეს კიდეც. მაგალითად, სენაკში - ერთ-ერთი ბენეფიციარი სოციალურად დაუცველია, შვილი ჰყავს საოპერაციო, სადაზღვევო პოლისის მიხედვით უნდა გადაიხადოს სრული თანხის 30%, რომელიც არ გააჩნია. მობილიზატორისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველებისთვის არის თანხა ოპერაციის დასაფინანსებლად. ქალბატონმა მიმართა შესაბამის სამსახურს და ელოდება პასუხს.
წყალტუბოში ბენეფიციარებმა მობილიზატორებისგან შეიტყვეს, რომ სოციალურად დაუცველებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი ქულები (30000), შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ წყალტუბოს საკურორტო მკურნალობის კურსით.
-ფონდ „სოხუმში“ ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორთა ქსელური შეხვედრა. შეჯამდა ექვსივე ცენტრის სამთვიანი მუშაობის შედეგები და სამომავლო მუშაობის გეგმებზე ისაუბრეს.

## დამატებითი ღონისძიებები ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ინიციატივით

-ქალთა მობილიზაციისა და მათი ინფორმირების მიზნით ჩატარდა ექვსი დამატებითი ვორკშოპი ახლომდებარე სოფლებში: ქუთაისი - გუმათი, წყალტუბო - თერნალი, ხონი - ივანდიდი, ხონი - ივანდიდი, ქარჩხაპი, სენაკი - ნოსირი, ზუგდიდი - კოკი. ვორკშოპის თემა იყო: გენდერი და გენდერული ძალადობა. მონაწილეობა მიიღო 74 ადამიანმა.
მონაწილეთა უმრავლესობა სოფლად მცხოვრები ქალია. მაგალითად, ნოსირში სოფლის გამგეობის წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები ჩაერთნენ. პედაგოგები მონაწილეობდნენ კოკში გამართულ ვორკშოპშიც.
მონაწილეები გენდერული ძალადობის განხილვისას, ძირითადად, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების როლზე საუბრებდა, ვორკშოპის დასასრულს კი დაიწყო საუბარი ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობასა და როლზე ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

## პრობლემათა ადვოკატირება ცენტრების მობილიზატორების დახმარებით

- ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართა აბრეშუმკომბინატში მცხოვრებ დევნილთა ჯგუფმა. ადვოკატირებაში ცენტრის იურისტი ჩაერთო, მომზადდა საერთო განცხადება, გაეგზავნა დევნილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონულ დეპარტამენტს თხოვნით - დააკმაყოფილონ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით. პასუხის მიღების შემდეგ ადვოკატირების პროცესი გაგრძელდება.
- სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მოვიდა ბენეფიციარი. მისი განცხადებით, ოჯახის ორი წევრი ფსიქიურად ავადმყოფია და სურს მიიღოს რაიმე სახის, თუნდაც ერთჯერადი დახმარება. ქალბატონს დააწერინეს განცხადება და გადაამისამართეს გამგეობაში, რომელსაც აქვს ერთჯერადი დახმარება მსგავსი კატეგორიის ადამიანებისთვის.
- წყალტუბოს ერთ-ერთი სასტუმროდან ქალთა მხარდაჭერის ცენტრს აცნობეს, რომ სჭირდებოდათ ორი დამლაგებელი ქალი. არსებული ვაკანსიის შესახებ მობილიზატორებმა

ინფორმაცია გაავრცელეს ბენეფიციარებთან. შედეგად - ორმა ქალმა იშოვა ანაზღაურებადი სტაბილური სამუშაო.

## გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

- შეივსო 10 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს და ძალადობას ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. 10-დან სამმა მიიღო ფსიქოლოგის კონსულტაცია, დანარჩენებთან კი გრძელდება ურთიერთობა და საინფორმაციო მუშაობა.

## გაიზარდა მიმართვა იურისტებთან და ფსიქოლოგებთან. კონსულტაციების მეშვეობით დარეგულირდა კონკრეტული შემთხვევები

- სენაკში ცენტრის იურისტს მიმართა გოგონამ, რომელსაც აინტერესებდა საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები.
- წყალტუბოში იურისტს დახმარებისათვის მიმართა ქალმა, რომელსაც მოეხსნა სოციალურად დაუცველის სტატუსი. იურისტის დახმარებით მომზადდა საჭირო დოკუმენტები, პროცესში ჩაერთო სოციალური აგენტი. ამჟამად ელოდებიან პასუხს, რათა ხელახლა მოხდეს ქულების დადგენა.
- ხურჩაში ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა - ქალბატონის ქმარმა მეორედ იქორწინა და ის ითხოვდა წილს ოჯახიდან მისთვის და შვილებისთვის. ცენტრის იურისტმა განუმარტა, რომ, როგორც სოციალურად დაუცველს, უფასოდ შეუძლია სახელმწიფო ადვოკატის აყვანა და ამ საკითხის მოგვარება სასამართლოს გზით.
- ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე 2 ძალადობის მსხვერპლის ზარი დაფიქსირდა. ერთი ბენეფიციარი ინდივიდუალურად გააგრძელებს ფსიქოლოგთან კონსულტაციას.

## ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ლიდერები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ შეხვედრებს

- სამობილიზაციო შეხვედრები ჩატარდა სოფლებში: ქვილიშორი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ხორში (სენაკის მუნიციპალიტეტი), ხურჩა/კოკი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი).
- სოფლებში სამობილიზაციო შეხვედრების შედეგად გაფართოვდა თანამშრომლობა ცენტრის ლიდერებსა და სოფლის გამგეობის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივ გამგეობას აქვს ინფორმაცია ფონდი „სოხუმის“ მუშაობაზე ძალადობის პრობლემის პრევენციისთვის.
- სოფლებში ინფორმაციის გავრცელების მიზნით ჩატარდა დამატებითი ექვსი ვორკშოპი სოფლებში: გუმათი (ქუთაისთან ახლომდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი), თერნალი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ქარჩხაპი და ივანდიდი (ხონის მუნიციპალიტეტი), ნოსირი (სენაკის მუნიციპალიტეტი), კოკი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი). თემამ - გენდერი და გენდერული ძალადობა - მონაწილეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. მონაწილეებმა ითხოვეს სხვადასხვა თემაზე მსგავსი დისკუსიების ხშირად გამართვა.

## ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ოზურგეთსა და ქუთაისში

-ფოკუს-ჯგუფები გაიმართა ჟურნალისტებთან ქუთაისსა და ოზურგეთში. ორივე ჯგუფში კარგად გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ დაბალია მედიის როლი ძალადობის პრობლემის პრევენციაში. ხაზგასმით ითქვა ჟურნალისტთა არაპროფესიონალურ მიდგომაზე თემის გაშუქებისას.

- ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა ქუთაისის პოლიციის მე-2 სამმართველოს უფროსის მოადგილე, ხოლო ხონში - განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი.

- ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგად მოპოვებული მასალა მუშავდება და გაანალიზდება.

## გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან. გაჩნდა ახალი ინიციატივები

- მიგრაციის თემა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ორივე თაობის წარმომადგელებისთვის. მონაწილებს შორის იყვნენ ისეთები, რომელთა ოჯახის წევრები საზღვარგარეთ სამუშაოდ იმყოფებოდნენ და შესაძლებლობა მიეცათ პრობლემებზე ღიად ესაუბრათ. გაჩნდა ახალი იდეები, ახალი ინიციატივები - დამატებითი ღონისძიებებისათვის.

- ახალგაზრდებს წყალტუბოში გაუჩნდათ იდეა, ზაფხულში, მათთან დასასვენებლად ჩამოსული ახალგაზრდები შემოიერთონ, მოაწყონ პიკნიკი და გააგრძელონ მსჯელობა მიგრაციის თემაზე.

- ფოთში ვორკშოპის მონაწილე ქალბატონმა, როცა გაიგო რომ მიგრაციის თემა განიხილებოდა, შეხვედრაზე მოიწვია საკუთარი ახლობელი, რომელიც საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ჯანმრთელობის გაუარესების გამო და ოჯახში სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა მეუღლესთან. მან ემოციები შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარა, შემდეგ კი რეაბილიტაციისთვის ფსიქოლოგს დაუკავშირდა.

## ფორუმ-თეატრმა წარმოდგენები გამართა ძალადობის თემაზე

- ფორუმ-თეატრის გამოსვლა ჩატარდა ქუთაისში, ახალგაზრდულ ცენტრ „სულიკოში“. მაყურებელთა დიდი ნაწილი ახლგაზრდები იყვნენ, აქტიურობაც შესაბამისად მაღალი იყო.

- ფორუმ-თეატრის მეორე შეხვედრა მოეწყო სოფელ ხურჩაში, დაინტერესება დიდი იყო, განსაკუთრებით - ოჯახურ კონფლიქტებთან დაკავშირებული სცენების მიმართ.

- ფორუმ-თეატრმა ჩაატარა მასტერ-კლასი ბათუმელი ახალბედა მსახიობებისათვის, რომელთაც ფონდი „სოხუმის“ დახმარებით ჩამოაყალიბეს ფორუმ-თეატრი და ახორციელებენ პროექტს „ბათუმის ახალგაზრდები - არაძალადობრივი საზოგადოებისთვის“,

## აქტიურად მუშაობენ ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული

## კლუბები: ახალ ადგილებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო ახალი ბენეფიციარების მოზიდვას

-ზაფხულის მიუხედავად, ახალგაზრდული კლუბების მუშაობის ტემპი არ შენელებულა. მაგალითად, ფოთში გამოჩნდნენ ახალი ბენეფიციარები, რომლებიც დასასვენებლად არიან ჩასულები. ისინი დისკუსიაში აქტიურად ჩაერთნენ. იქვე გაჩნდა იდეა, სასწავლო წლის დაწყების შემდეგ თავიანთ სკოლებში დანერგონ მსგავსი სადისკუსიო ფორმატი.

- კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის მოხალისეებმა საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს სოფელ ხურჩაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე.

- წყალტუბოს ჯგუფმა სოფელ ბანოჯაში მოაწყო ახალგაზრდებთან შეხვედრა თემაზე: „ოჯახური კონფლიქტები და მისი გავლენა ბავშვებზე“.

- სენაკის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა ნოქალაქევში მოქმედ „ახალგაზრდულ ბანაკში“ მიიღეს მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებულ დებატ-კლუბში. სადისკუსიოდ აირჩიეს თემა „გენდერული ძალადობა“ და ამით ხელი შეუწყვეს თემის პოპულარიზებას მოზარდებში.

# ივლისში ჩატარდა 87 აქტივობა.
# მონაწილეობა მიიღო 991 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემაზე დევნილთა უფლებების, ოჯახური კონფლიქტების თემაზე – 439 მონაწილე

6 დამატებითი ვორკშოპი ახლომდებარე სოფლებში - 68 მონაწილე

6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 78 ადამიანი

9 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში, მათ შორის 3 ინდივიდუალური - 54 მონაწილე

6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 47 მონაწილე.

8 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 53 მონაწილე

6 ახალგაზრდული კლუბი – 89 მონაწილე

6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 88 მონაწილე

3 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 57 მონაწილე

4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 18 მონაწილე

## ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

### ქუთაისი

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა ყოფილი მუსიკალური სკოლა-ინტერნატის, ყოფილი აბრეშუმკომბინატის და ინვალიდთა საწარმოს კოლექტიურ ცენტრებში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგის შეხვედრა მიეძღვნა თემას „ემოციების მორევი ოჯახში“. იგივე თემა იყო სასაუბროდ ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებზე კოლექტიურ ცენტრებში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული იურიდიული კონსულტაციის მთავარი თემა იყო საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის შესახებ და ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული შშმ პირთა პროგრამები და პრიორიტეტები, რადგან შეხვედრას ამ კატეგორიის ადამიანებიც ესწრებოდნენ.
იურისტმა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა აგრეთვე ქუთაისის 8 სხვა-დასხვა კოლექტიურ ცენტრში.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ფონდ „სოხუმში“ თემაზე „კომუნიკაცია ძალადობის პრევენციისათვის“.
გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალგაზრდების ჯგუფთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. ყოფილი მუსიკალური სკოლა-ინტერნატის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ ქალების ჯგუფთან ჩატარებული ვორკშოპი ეხებოდა თემას „მიგრაცია და მისი კავშირი ოჯახურ კონფლიქტებთან“.
ქუთაისის მობილიზატორმა პირველად გამართა ვორკშოპი ძალადობის თემაზე ქუთაისთან ახლომდებარე სოფელ გუმათში, რომელიც ტერიტორიულად წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

## წყალტუბო

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, სასტუმროები „იმერეთი“, „ცენტროსოიუზი“, „წყალტუბო“, სოფელი ქვილიშორი. დამატებით გაიმართა ვორკშოპი სოფელ თერნალში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „მოტივაცია და ადამიანების შესაძლებლობების ზღვარი.“
იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის თემა იყო ანდერძი, ხელშეკრულება და ადმინისტრაციული კანონი.
წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „კომუნიკაცია ძალადობის პრევენციისათვის“.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალთა მხარდაჭერის ცენტრში - ქალების და ახალგაზრდების ჯგუფთან თემაზე: „მიგრაცია - კავშირი ოჯახურ კონფლიქტებთან“. ამის შემდეგ კი ახალგაზრდების ჯგუფმა გამართა საიფორმაციო შეხვედრა სოფელ ბანოჯაში.

## ხონი

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##83, 84, 85, 89, 91 სახლებში და ბაგრატიონის ქუჩის მცხოვრებლებთან.
ხონის საკრებულოში ფსიქოლოგმა ჩაატარა შეხვედრა თემაზე: ოჯახური ძალადობის პრევენცია, ინტერვენცია, ძალადობის გავლენა ბავშვებზე.

იურისტის საინფორმაციო შეხვედრა მიეძღვნა ქალთა მიმართ ძალადობის თემას.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ახალგაზრდული კლუბის შეხვედრის თემა იყო კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა ძალადობის პრევენციისათვის.
ჩატარდა ვორკშოპები ქალებთან და ახალგაზრდებთან თემაზე „მიგრაცია - კავშირი ოჯახურ კონფლიქტებთან“.

## ფოთი

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: ახალი რაიონი - გაგრის ქუჩა, სახლები, ## 10, 10ა, 12, სასწავლო ცენტრი ##1, 2, 3.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „მოტივაცია და ადამიანების შესაძლებლობების ზღვარი“.
იურისტის კონსულტაციის საკითხებს წარმოადგენდა: ქორწინება, საქორწინო ხელშეკრულება, ანდერძი, ადმინისტრაციული კოდექსი.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე „კომუნიკაცია ძალადობის პრევენციისათვის“.
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ახალ რაიონში, ქალების ჯგუფთან „მიგრაცია - კავშირი ოჯახურ კონფლიქტებთან“.

## სენაკი

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: სასტუმროები „მენჯი“ და „ეგრისი“, მე-5 ტრესტი, პროფსასწავლებელი, სამხედრო ქალაქი, სოფელი ხორში.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „ემოციების მორევი ოჯახში“.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხებით: საკუთრების ცნება, საკუთრების  უფლება, მესაკუთრისა და მფლობელის ვალდებულებები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე: „კომუნიკაცია ძალადობის პრევენციისათვის“.

## ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.
ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „ემოციების მორევი ოჯახში“. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სოფელ კოკიდან  ჩამოსული ქალებიც.
იურისტის კონსულტაციაზე შეეხნენ მიწით სარგებლობის სამართლებრივ ნორმებს და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს თემაზე „კომუნიკაცია ძალადობის პრევენციისათვის“. კოკის ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა სოფელ ორსანტიის სკოლაში გამართეს შეხვედრა კომუნიკაციის თემაზე.

## ისტორიები (სახელები შეცვლილია)

ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტს დახმარებისათვის მიმართა აფხაზეთიდან დევნილმა ნინომ, რომელიც მეუღლესთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ერთ-ერთ კოლექტიურ ცენტრში. შენობა 2015 წელს ექსპერტთა მიერ ავარიულად იქნა ცნობილი. აპრილში ყველა ოჯახმა მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში და განაწილდა ბინები რეაბილიტირებულ შენობაში. ამ ოჯახს კენჭისყრის შედეგად შეხვდა 39 კვ.მ. ოროთახიანი ბინა, პატარა და მოუხერხებელი საძინებლით. იურისტმა მათ მიაწოდა ინფორმაცია, რომ დევნილთა და განსახლების მინისტრის #320 ბრძანების თანახმად, ოჯახს ეკუთვნის 45–60 კვ. მ. ოროთახიანი ბინა. ამის შემდეგ ნინომ ოფიციალურად უარი განაცხადა შეთავაზებაზე და მოითხოვა შესაბამისი სტანდარტების ბინა. მის განცხადებაზე სამინისტროდან ბუნდოვანი პასუხი მოვიდა. შემდეგ მიმართა სახალხო დამცველის აპარატს, თუმცა იქიდანაც ვერანაირი პასუხი ვერ მიიღო. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ადვოკატმა შესთავაზა სარჩელის მომზადება და სასამართლო გზით მისი უფლებების დაცვა, მაგრამ უარი განაცხადა. ფაქტობრივად, დარჩა ქუჩაში ოჯახთან ერთად.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრის  იურისტის აქტიური ჩართვით იმერეთის ტერიტორიული ორგანოდან ხელახლა გადაამოწმეს, 29 ივნისს კი მიიწვიეს კენჭისყრაზე, სადაც ახალი საცხოვრებელი ბინა ბარდებოდა. საბოლოოდ, ამ დევნილ ოჯახს შეხვდა შესაბამისი პარამეტრების ოროთახიანი ბინა, 5 ივლისს კი გადაეცა ბინის გასაღები.

ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე მოვიდა ქალბატონი ივეტა. 17 წლის შვილი ჰყავს. დედამ შენიშნა, რომ ბავშვს გაუფუჭდა ხასიათი. ეჭვი ჰქონდა, რომ მან ვიღაცისგან შეიტყო ინფორმაცია, რომ ის ნაშვილებია. დედას უნდოდა შვილთან საუბარი ამ თემაზე, მაგრამ ვერ შეძლო. ფსიქოლოგთან კონსულტაციის შემდეგ მან საკუთარი თავი შეამზადა საამისოდ. თავიდან ძალიან გაუჭირდა, მაგრამ, როგორც ამბობს, ფსიქოლოგის რჩევები კარგად გაითვალისწინა - დიალოგი ემოციური იყო, შედეგი კი მოულოდნელი: ბავშვმა პირველი ემოციების შემდეგ დედ-მამა გადაკოცნა და მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის. როგორც გაირკვა, მას სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი არ იყვნენენ მისი ბიოლოგიური მშობლები, მაგრამ ამ თემაზე უჭირდა საუბარი, ხასიათის ცვლილება ამიტომაც დაეტყო. ახლა ყველაფერი წესრიგშია.